



# საქართველო

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

6 სექტემბერი 2013 წელი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №268

#### უძრავ ქონებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პბ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო რეგისტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვარის №73 ბრძანებულების შესაბამისად:

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

**მუხლი 1.** ქ. ოზურგეთში, დაბა ურეკში მდებარე საერთოსაცხოვრებელ ბინაში არსებული ბინის (საერთო ფართი 52.48 კვმ. პირველი სართული, ოთახების რაოდენობა 4) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის მიემართოს სსიპ „საჯარო რეგისტრის ეროვნულ სააგენტო“-ს, რათა განახორციელოს თანდართული შენობა-ნაგებობის ტექნიკურ პასპორტში მითითებული უძრავ ქონებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია, შემდგომში მუნიციპალიტეტის მიერ პრივატიზების მიზნით.

**მუხლი 2.** სსიპ „საჯარო რეგისტრის ეროვნულ სააგენტო“-ში შესაბამისი ქმედების განხორციელებაზე უფლებამოსილება მიენიჭოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების, საორგანიზაციო და იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსს ლაშა თავაძეს (პირ.№33001005191).

**მუხლი 3.** ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

**მუხლი 4.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

**მუხლი 5.** ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ავთანდილ სურგულაძე